შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის (ს/კ: 406290954)

დირექტორის

N 240909 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09.09.2024 წელი

ქ.თბილისი

დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების შემდგომ წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრებისა და პრაქტიკის დღიურების შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების წესის დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება) და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, პროფესიული განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების, დაინტერესებული მხარის მოსმენისა და გასაჩივრების მოთხოვნათა ნაწილში), აგრეთვე კოლეჯის დებულების (დირექტორის ბრძანება №110) და დირექტორის უფლებამოსილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების შემდგომ წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრებისა და პრაქტიკის დღიურების შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების წესი“ (დანართი №1).

2. ეს წესი ვრცელდება კოლეჯის “შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვით ტექნოლოგიების” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და დგინდება მუდმივმოქმედ, ზოგად წესის სახით.

3. წესით დადგენილი ვადების დაცვასა და აღსრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ან/და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ასევე სხვა სამსახურსაც - თითოეულ სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. კვალიფიკაციის მინიჭების ვადებთან დაკავშირებული ადრე მიღებული აქტები/ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ წესს, ჩაითვალოს ძალადაკარგულად ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან; დანარჩენ ნაწილში მოქმედი შიდა აქტები ამ წესს შეესაბამება 1 (ერთი) თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

6. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ (მ.შ. პროფესიულ სტუდენტს) შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში კოლეჯის დირექტორთან (ადმინისტრაციული საჩივარი) ან/და სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. კონტროლი ბრძანების აღსრულებაზე ეკისრება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს თვალსაჩინო ადგილას კოლეჯის სამოქმედო ტერიტორიაზე ან/და კოლეჯის ვებ-გვერდზე აიტვირთოს, რაც ავტომატურად ნიშნავს დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული ბრძანების გაცნობას.

კობა მახათაძე

დირექტორი

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

დანართი №1

*დამტკიცებულია დირექტორის № **240909** ბრძანებით*

დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების შემდგომ წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრებისა და პრაქტიკის დღიურების შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები, მიზანი და მოქმედების სფერო

1.1. ეს წესი აწესრიგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის დასრულებისა და კოლეჯის მიერ დაწესებული დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების (ჩათვლის) შემდეგ, პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრებისა და პრაქტიკის დღიურების შეფასების, შედეგების გამოცხადების, გასაჩივრებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადებს.

1.2. წესის მიზანია დროული, გამჭვირვალე, თანასწორი და გასაჩივრებადი პროცედურის უზრუნველყოფა, აგრეთვე კოლეჯის დაცვა, როგორც პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების, ისე ვადამდე, ხარვეზით მიღებული აქტების რისკისგან.

1.3. წესი ვრცელდება კოლეჯის ყველა პროფესიულ პროგრამაზე და მისი ყველა შემსრულებელი პირისა და სტრუქტურული ერთეულისთვის სავალდებულოა.

1.4. კვალიფიკაციის მინიჭების, შეფასების შედეგისა და სტუდენტის სტატუსის თაობაზე მიღებული აქტები არის **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები** და ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს (დასაბუთება, დაინტერესებული მხარის მოსმენა, გასაჩივრება).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- **დასკვნითი შემაჯამებელი შეფასება (ჩათვლა) -** კოლეჯის მიერ ყველა მოდულის დასრულების შემდეგ დაწესებული საბოლოო შემაჯამებელი შეფასება;
- **ვადები -** (ა) დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების ჩატარების დღე, ან (ბ) სტუდენტის მიერ ყველა პრაქტიკული ნამუშევრისა და პრაქტიკის დღიურის სრულად წარმოდგენის დღე;
- **პრაქტიკული ნამუშევარი და პრაქტიკის დღიური -** სტუდენტის მიერ პრაქტიკული/საწარმოო კომპონენტის ფარგლებში შესრულებული და შესაფასებლად წარმოდგენილი დოკუმენტი/ნამუშევარი;
- **უწყისი -** შეფასების შედეგების აღრიცხვის ოფიციალური დოკუმენტი;
- **სამუშაო დღე -** კალენდარული დღე შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გამოკლებით.

მუხლი 3. პროცესის ეტაპები და მაქსიმალური ვადები

3.1. შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი მიმდინარეობს შემდეგი ეტაპებითა და მაქსიმალური ვადებით:

#	ეტაპი / მოქმედება	პასუხისმგებელი	მაქსიმალური ვადა
1	დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების (ჩათვლის) ჩატარება	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	**25.07.2026 - 27.07.2026**
2	წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრებისა და პრაქტიკის დღიურების შეფასება და შეფასების უწყისის შევსება	პროგრამის ხელმძღვანელი, შემფასებელი/პრაქტიკის კოორდინატორი/კომისია	**არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (დასკვნითი შემაჯამებელი შეფასების დღიდან)**
3	შეფასების შედეგების გამოცხადება და თითოეული სტუდენტისთვის გაცნობა	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	**უწყისის შევსებიდან 1 სამუშაო დღეში**
4	შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) ვადა — სტუდენტის უფლება	პროფესიული სტუდენტი	**გაცნობიდან 2 სამუშაო დღე**
5	აპელაციის განხილვა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება (ასეთის არსებობისას)	სააპელაციო კომისია	**საჩივრის რეგისტრაციი დან 3 სამუშაო დღეში**
6	კვალიფიკაციის მინიჭების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემა თითოეულ სტუდენტზე	დირექტორი	**შედეგის საბოლოოდ დადგენიდან 5 სამუშაო დღეში**
ზღვრული ვადა: კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება გამოიცემა არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვისა დასკვნითი შემაჯამებელი. ეს ზღვარი უპირობოა და ეტაპობრივ ვადებზე უპირატესია.			

მუხლი 4. ზღვრული ვადა (ერთთვიანი პერიოდი)

4.1. კვალიფიკაციის მინიჭების ინდივიდუალური ბრძანება თითოეულ სტუდენტზე გამოიცემა **არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვისა** დასკვნითი შემაჯამებელი შეფასებიდან. ეს ვადა შეესაბამება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ზოგად ვადას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). ამ ვადიდან შესაძლოა დადგინდეს კონკრეტული სხვა თარიღი გადაუდებელი აუცილებლობისა და ფორს-მაჟორის დროს დაწესებულების დირექტორის ბრძანების თანახმად.

4.2. მუხლი 3-ის ეტაპობრივი ვადები ისეა განაწილებული, რომ მთელი ციკლი დაცული იყოს ამ ზღვრული ვადის ფარგლებში. ეტაპობრივ და ზღვრულ ვადას შორის წინააღმდეგობისას გამოიყენება ზღვრული (ერთთვიანი) ვადა.

4.3. ვადების დაცვა კრიტიკულია: მისი დაუსაბუთებელი გადაცილება ქმნის აქტის გასაჩივრებისა და კოლეჯის მიმართ პასუხისმგებლობის რისკს.

მუხლი 5. ვადის შეჩერება

5.1. მუხლი 3-ისა და მუხლი 4-ის გათვალისიწნეული ვადები უქმდება/შეჩერდება, თუ:

- ა) სტუდენტს არ აქვს სრულად წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრები ან/და პრაქტიკის დღიურები;
- ბ) სტუდენტს აქვს შეუსრულებელი აკადემიური ვალდებულება, მათ შორის აღუდგენელი პრაქტიკული/სასწავლო საათები (საათების აღდგენის წესი №240909) ან მიმდინარე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ);
- გ) არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული დაბრკოლება, რომელიც კოლეჯს არ მიეწერება.

5.2. შემაჩერებელი გარემოების აღმოფხვრიდან მომდევნო სამუშაო დღეს პროცესი განახლდება. შეჩერების საფუძველი და პერიოდი აისახება საქმის წარმოების მასალებში.

მუხლი 6. კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანების სავალდებულო შინაარსი

6.1. კვალიფიკაციის მინიჭების ინდივიდუალური ბრძანება, სავალდებულოა რომ შეიცავდეს შემდეგ სექციებს ერთობლივად ან/და ცალ-ცალკე:

- სამართლებრივ საფუძველს (მარეგულირებელი კანონმდებლობა და ეს წესი);
- ფაქტობრივ გარემოებებს (პროგრამა, საფეხური/დონე, პროგრამის დასრულება, შეფასების/უწყისის შედეგები);
- დასაბუთებას (რატომ ენიჭება/არ ენიჭება კვალიფიკაცია);
- მისანიჭებელ კვალიფიკაციას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;
- ამოქმედების თარიღს;
- გასაჩივრების წესსა და ვადას (ადმინისტრაციული საჩივარი 1 თვის ვადაში / სასამართლო);
- ხელმოწერასა და საჭიროებისას ბეჭედს.
- დაინტერესებული პირისადმი ოფიციალურად გაცნობის თარიღს.

6.2. თუ სტუდენტისთვის მისაღებია არახელსაყრელი გადაწყვეტილება (მაგ., კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარი), მას წინასწარ უნდა მიეცეს პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა (დაინტერესებული მხარის მოსმენა).

მუხლი 7. შედეგების გასაჩივრება (აპელაცია)

7.1. სტუდენტს უფლება აქვს, შეფასების შედეგი გაასაჩივროს გაცნობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში კოლეჯის სააპელაციო კომისიაში.

7.2. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება გამოიცემა შედეგის საბოლოოდ დადგენის შემდეგ - ე.ი. აპელაციის ვადის უშედეგოდ გასვლის ან/და სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ბრძანება არ გამოიცემა აპელაციის ვადის მიმდინარეობისას.

მუხლი 8. მონაცემთა აღრიცხვა და შენახვა

8.1. შეფასების მონაცემები და პროცესის მასალები ინახება უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წლისა (ავტორიზაციის მოთხოვნა).

8.2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 9. პასუხისმგებელი პირები

9.1. ეტაპ 2–3-ის ვადებზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი; ეტაპ 4–5-ზე - სააპელაციო კომისია; ეტაპ 6-ზე - დირექტორი. ვადების საერთო მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. წესი მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ამოქმედდება მასში მითითებული დღიდან.

10.2. წესში ცვლილება შედის მისი მიღების იმავე წესით.